სსიპ-აკაკი წერეთლის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№01-04|13 4.04. 2018 წ.350

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ

„სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 23 მარტის №183 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსი;
2. შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის მიმართულებები, პროექტის შეფასების კრიტერიუმები და კონკურსთან დაკავშირებული სხვა პირობები განსაზღვრულია „სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი“-ს შესახებ აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 23 მარტის №183 დადგენილებით;
3. გამოცხადდეს საგრანტო კონკურსის საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება 2018 წლის 1 მაისიდან 11 მაისის ჩათვლით, 10^{00}სთ.-დან 17^{00}სთ.-მდე მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის №59, I კორპუსი, აუდ. №1202.
4. საპროექტო განაცხადდის დოკუმენტაცია უნდა ჩაბარდეს როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით მყარ დისკზე (CD/DVD), რომელიც ელექტრონულად აიწყობა Word-ს დოკუმენტში, A4 ფორმატის ფურცლის ზომებში, არე მარცხნიდან - 3 სმ, ზევიდან - 2 სმ, ქვევიდან - 2 სმ და მარჯვნიდან - 2 სმ. ტექსტის სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.15 (Single), სათაურებსა და ტექსტს

შორის, ცხრილებსა და ტექსტს შორის დასაშვებია უფრო მაღალი ინტერვალი; დოკუმენტის შრიფტი - Sylfaen, ზომა - 12;

5. პროექტების შეფასება შიდასაფაკულტეტო კომისიის მიერ განხორციელდეს 2018 წლის 14 მაისიდან 24 მაისის ჩათვლით, ხოლო 2018 წლის 25 მაისს გამოცხადდეს კონკურსის პირველი ეტაპის შედეგები;
6. კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების აპელაციის პერიოდად განისაზღვროს 2018 წლის 28-30 მაისი;
7. კონკურსის პირველი ეტაპის საბოლოო შედეგების მიხედვით, დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროექტების შეფასება განხორციელდეს 2018 წლის 7 ივნსიდან 10 ივნისის ჩათვლით, ხოლო 2018 წლის 11 ივნისს გამოცხადდეს კონკურსის მეორე ეტაპის შედეგები;
8. კონკურსის მეორე ეტაპის შედეგების აპელაციის პერიოდად განისაზღვროს 2018 წლის 12-14 ივნისი;
9. კონკურსის საბოლოო შედეგები გამოცხადდეს 2018 წლის 21 ივნისს;
10. გრანტის მიმღებთან ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდეს 2018 წლის 22 ივნისიდან 28 ივნისის ჩათვლით;
11. გამარჯვებული საგრანტო პროექტ(ებ)ის განხორციელება დაიწყოს 2018 წლის 2 ივლისიდან;
12. კონკურსის შესახებ ინფორმაცია („სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი“, „პროექტის სააპლიკაციო ფორმა“ და „პროექტის ბიუჯეტის ფორმა“) გამოქვეყნდეს აწსუ-ს ვებგვერდზე (http://atsu.edu.ge) და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე.
13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი: **გიორგი ღავთაძე**

დეკანი: **აკაკი ბაკურაძე**